**ხელშეკრულება №191/15**

**(საკუთარი სახსრები)**

“ 27“ აგვისტო 2015 წ. ქ.თბილისი

**1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები**

1.1.“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” მე-3 მუხლის ს[1] პუნქტის საფუძველზე, ერთის მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) შპს „საქართველოს მელიორაცია“ (მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6) მისი გენერალური დირექტორის ლევან დვალის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი**) ინდ/მეწარმე ტარიელ დავითაშვილის (მისამართი: ქ. თბილისი; ტოლუჟის ქ 5-7) სახით ურთიერთშეთანხმებისა და მოხსენებითი ბარათის N შ-489 საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. შპს „საქართველოს მელიორაციის“, საიროებისათვის მთარგმნელობითი მომსახურების (20 გვერდის თარგმნა ინგლისურიდან -ქართულ ენაზე) შესყიდვა (კოდი: 79530000), ერთი გვერდზე 200 სიმბოლო, გვერდის ღირებულება შეადგენს 15 (თხუთმეტი) ლარს.

**3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

**4. მომსახურების შესრულების ვადები**

4.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია უზრუნველყოს მთარგმნელობითი მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

**5. მიღება ჩაბარების წესი**

5.1 განსახორციელებელი მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორის მრჩეველს მიხეილ ბებიაშვილს.

**6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია**

6.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

**7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები**

7.1 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.

7.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, ანგარიშ-ფაქტურისა და/ან მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

**8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს“ მის მიერ მოთხოვნილი მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

8.2. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტობრივად მიწოდებული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად მოუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.

9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვევულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1.ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 27 აგვისტოდან 2015 წლის 1 ოქტომბრამდე.

## 12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს „საქართველოს მელიორაციის" გენერალური დირექტორის მრჩეველი მიხეილ ბებიაშვილი .

13.2. კონტროლის განმახორციელებელი პირის/პირების ფუნქციებია:

13.2.1. გაუწიოს კონტროლი მომსახურების მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

13.2.2. დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

## 14. ხელშეკრულებების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

14.1.1 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

14.3.1.თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

14.3.3.საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.3.4. მხარეები უფლებამოსილი არიან შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე რის შესახებაც ერთმანეთს აცნობებენ წერილობით სახით.

## 15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

15.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაცის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

15.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

**ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.**

**ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.**

**მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები**

**„შემსყიდველი“**
**შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია”**
საიდენტიფიკაციო კოდი 204524568
მისამართი ქ. თბილისი, მარშალ
გელოვანის გამზ. N6
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE58BG0000000182323100

**„მიმწოდებელი“**
**ი/მეწარმე „ტარიელ დავითაშვილი“**
მისამართი ქ. თბილისი,ტოლუჟის ქ N5-7
საიდენფიკაციო კოდი 13001005296
ს/ს რესპუბლიკა ბანკი REPLGE22
ანგ GE72BR0000010276160984

**გენერალური დირექტორი:**

**ლევან დვალი**

ტარიელ დავითაშვილი